სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 6 ივნისი 1918 წ. 155

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 115 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 115

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის გუბერნიის კომისარიატთან არსებული საგანგებო მფრინავი რაზმის ოფიცრები და მხედრები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობთ რომ 1 ივნისს ს. ყაზბეგში ბალშევიკებთან ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა

**ამხ. თედორე სოხაძე.**

პანაშვიდი და გამოსვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან 7 ივნისს დილის 10 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

---

გულ-მოკლული მშობლები: მინა და მასიკო, ძმა და დები: ნიკიფო, აგრაფინა, ვარდო და ნატაშა მელიმონაძეები, სიძეები: აგაბო ლოლაძე და თეიმურაზ ნაცვალაძე, ულრმესი მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ქ. თფილისში, 3 ივნისს, ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი ამიერ-კავკასიის მეორე ცხენოსანთა ასეულის ჯარის-კაცი

**დოლიმენდო მასიკოს ძე მელიმონაძე**

მიცვალებულს ქ. თფილისიდან წაასვენებენ გურიაში 4 ივნისს საღამოს რკინის-გზის საავადმყოფოდან, დაკრძალვა კი მოხდება ს. ახალშენში შაბათს 8 ივნ. ნაშუადღევს.

---

უზომო მწუხარებით გულ დაწყვეტილნი დაი და ძიძე ფატი მასიკოს ასული და მელქისედეგ ალმასხანის ძე სიხარულიძეები, აცნობებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ ქ. თფილისში 3-ს ივნისს, რკინის-გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა ტყვიით დაჭრილი თფილისის კულტურ-ტეხნიკური სასწავლებლის მოწაფე და ჯარის-კაცი ამიერ კავკასიის ცხენოსანთა მეორე ასეულის

**დოლიმენდო მასიკოს ძე მელ მონაძე**

რომლის გამოსვენება მოხდება 4 ივნისს, თფილისის რკინის გზის საავადმყოფოდან საღამოს, დასაფლავება კი დანიშნულია შაბათს 8 ივნისს, ნაშუადღევს, სოფელ ახალშენში—გურია. 2—2

## ზავის ჩამოგდება

ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულობა უკვე ხელმოწერილია. განხორციელდა ჩვენი ხალხის ოცნობა: საშინელი სისხლის ღვრა შესწყდა.

როგორია ზავის პირობები? გვეძლევა თუ არა საშუალება თავისუფალ განვითარებისათვის, უზრუნველყოფილია თუ არა რამდენიმეთ მაინც ჩვენი მომავალი?

საუბედუროთ ოსმალეთთან შეკრული ზავი გაცილებით უფრო საზარალო გამოდგა, ვინემ ჩვენ ამას მოველოდით: ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ჩამოაშორეს ჩვენი ძველი კულტურის აკვანი—ჯავახეთი და მესხეთი, დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის კარი ახალციხე. ყოველთვის აქედან მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში მტერი, ამ ადგილებში ილვრებოდა სისხლი ჩვენ მამა-პაპათა, რომელთაც კარგათ ესმოდათ მათი სტრატეგიული მნიშვნელობა. ახალციხე-ახალქალაქის დაკარგვით ჩვენი ქვეყანა ემსგავსება უკარო სახლს, რომელშიაც ყველას თავისუფლათ შეუძლია შესვლა.

მეტათ სამძიმოა ზავის პირობის მეორე მუხლიც: ოსმალეთს უფლება ეძლევა საერთაშორისო ომის დასრულებამდის თავისი ჯარები გაატაროს ჩვენის რკინის გზით, უფლება ეძლევა საჭიროების დროს ეს ჯარები ამა თუ იმ სადგურზე დაასვენოს. და გადასვლის დროს ოსმალეთის ჯარს შეუძლია საჭირო სურსათი და ფურაჟი ჩვენში შეიძინოს. ოსმალეთს უფლება არ აქვს ჩვენს შინაურს საქმეებში ჩაერიოს, მაგრამ თუ ჩვენმა ჯარმა საკუთარ ძალით ვერ შესძლო რკინის გზაზე წესიერების აღდგენა, მას ნება ეძლევა თითონ აღადგინოს წეს-რიგი. ასეთია ზავის მთავარი მუხლები.

ამავე დროს ჩვენი საზღვრები გაუსწორებელი რჩება ადერბეიჯანის მხრით, რასაც ეჭვი არ არის სათანადოთ გამოიყენებენ სომეხი და მუსულმანი ნაციონალისტები.

ოსმალეთთან ზავი შეკრეს აგრეთვე ამიერ-კავკასიის მუსულმანებმა და სომხებმა. მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთს უცვნია ადერბეიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობა.

ამ რიგათ ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო გამოვიდა საერთაშორისო ომის ცეცხლიდან და ზავი შეკრა. დაღლილი მოქალაქე დღესასწაულობს, ის წინდაწინვე ეძლევა განცხრომას მშვიდობიან ცხოვრების მოლოდინში.

საუბედუროთ, ზეიმი უსაფუძვლოა, ხანმოკლეა სიხარული და განცხრომა.

დებულება: ვისაც ზავი სურს, ემზადოს ომისთვის—არასოდეს არ ყოფილა ისე საფუძვლიანი, როგორც დღეს არის. ზავმა, შეიძლება ითქვას, ბევრი ახალი მტერი შეგვძინა. რუსი იმპერიალისტები, ამიერ-კავკასიის ველური ტომები, ადერბეიჯანის და სომხეთის ნაციონალისტები—ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვენი ქვეყნის ამოგდების საქმეში. თუ ოსმალეთმა მართლა გაატარა ჩვენი რკინის გზით ჯარი—ჩვენ ჯიბრში ჩაგვიდგება ძლიერი ინგლისი, რომელიც იმას მაინც მოახერხებს, თუ საკუთარი ჯარები ვერ გადმოსხა, რომელიმე მეზობელი მოგვისიოს და აგვიკლოს. ამას ჩაიდენს, რასაკვირველია, არა ბოროტებით, არამედ ოსმალეთ-გერმანიის გავლენის შესასუსტებლათ. გადამეტებული არ იქნება ვთქვათ, რომ ზავის შეკვრით ჩვენ ახალ ომის შესაძლებლობაში გადავდივართ.

გარდა ამისა თვით ოსმალეთი არ არის სანდო. თუ კი მას გარემოება შეუწყობს ხელს, ზავის დარღვევას, რასაკვირველია, არ ითაკილებს. ფორმალურათ ერთი თვის ვადაა დადებული ზავის რატიფიკაციისათვის, ამ ერთი თვის განმავლობაში სტამბოლში შეუძლიათ ზავის პირობები დაამტკიცონ ან არ დაამტკიცონ. გარდა ამისა ჯარების გადაყვანის დროს ის ყოველთვის იშოვის საბაბს, რომ პირობების დარღვევა ჩვენ დაგვაბრალოს და თავის მხრით წამოგვიყენოს ახალი პირობები. ყველაფერი ეს დამოკიდებული იქნება ერთის მხრით იმაზე, თუ როგორ წავა ოსმალეთის საქმე მეომარ სახელმწიფოებთან, გაიმარჯვებს ის იქ, თუ დამარცხდება, და მეორე მხრით იმაზე, თუ რა ძალა გვყვეყოლება ჩვენ და შევძლებთ თუ არა ანარქიის მოსპობას. თუ ოსმალეთის მდგომარეობა ოდნავ მაინც გამოკეთდა და ჩვენ ძალა არ მოგვემატა, ეჭვი არ არის, ის ზავის პირობებს დაარღვევს და კვლავ გააჩაღებს ჩვენთან საომარ მოქმედებას, რომ საბოლოვოთ დაგვიპყრას.

ასეთია ახალი ზავი.

აქედან მხოლოდ ერთი გამოსავალი გზა აქვს საქართველოს დემოკრატიას: მან უნდა მჭიდროთ შეკრას თავისი რაზმები და ანარქია ალაგმოს და ამავე დროს ხელი შეუწყოს მთავრობას ჯარის შედგენაში.

ჯარი და წეს-რიგის დაცვა—აი რა მოგვცემს ნამდვილ ზავს და გვიხსნის ჩვენ ოსმალეთის ბატონობისაგან. სხვა გზა არა გვაქვს.

## შინაური მოწინააღმდეგენი

საქართველოს დემოკრატიას ახლა ყველაზე უფრო კრიტიკული დრო დაუდგა. იმ დემოკრატიას, რომელმაც სახელოვანი მებრძოლები მისცა მთელ რუსეთის რევოლიუციას, იმ დემოკრატიას, რომელიც ასეთი თავგამოდებით იცავდა შინ და გარეთ რევოლიუციურ წესიერებას, რომ ამით ეხსნა რევოლიუციის მონაპოვარი დაკარგვისაგან და ხალხისთვის შეენარჩუნებინა ის, რაც ამდენი ხნის ბრძოლით და სისხლის დაღვრით არის შეძენილი; დღეს მას ყველაზე საშინელი მტერი უჩნდება გარედან და შიგნიდან. გარედან—ოსმალეთის საზავო პირობები, რომლის განხორციელება ადვილათ შეიძლება სრულ ანექსიათ გადაიქცეს და ასე ოსმალეთის მონებათ გვაქციოს; შინაურობაში—გაკადნიერებული ნაციონალისტები და თავზე ხელაღებული ბალშევიკები, რომელთაც სწამთ მხოლოდ დემოკრატიასთან ბრძოლა, დემოკრატიის ცუდათ ხსენება, მისთვის ხელის შეშლა და არევ-დარევის წარმოშობა.

ბალშევიკები თუ ამას სოციალისტური რევოლიუციის სახელით სჩადიან, რომელიც ჩვენს კურთხეულ ქვეყანას განვითარებულ და ეკონომიურათ „დაწინაურებულ" ლეხხუმიდან უნდა მოევლინოს, სამაგიეროთ ნაციონალ-დემოკრატები, „საქართველოს" რედაქციის გარშემო მოკალათებულნი, აქვე ჩვენს რევოლიუციის სიამაყეს, თფილისის მუშათა საბჭოს ებრძვიან.

საქართველოს ტერიტორიაზე მუსულმანთა და სომეხთა მთავრობებს უნდათ თავის დროშა აფრიალონ. ამას ჩვენ ვეწინააღმდეგებით. მაგრამ ნაციონალისტებს სურთ ამ ბრძოლაშიაც ხელი შეგვიშალონ და სწორეთ ამ დროს იწყებენ კამპანიას თფილისის მუშების წინააღმდეგ, რომელნიც ერთათ-ერთ საიმედო და რეალურ ძალას წარმოადგენენ საქართველოს ნორჩი რესპუბლიკისთვის.

მუშათა საბჭომ 30 მილიონ მანეთის მოგროვება განიზრახა თფილისში თავდაცვის საჭიროებისათვის, ქუთაისში ამავე მიზნით მთელ გუბერნიაში აგროვებენ 10 მილიონ მანეთს. ეს რასაკვირველია ჩვენს ფინანსებს რამდენიმეთ გააუმჯობესებს. მეორე მხრით ეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოგვიყვანს. ეს მართლა გმირული საშვალებაა, რომელსაც ჩვენი გმირული დრო მოითხოვს ჩვენგან. მაგრამ „საქართველოს" რათ უნდა გმირობა. მას უნდა ოსმალეთის წინაშე ქედის მოხრა, რომ ამით რევოლიუციას ბოლო მოუღონ—და თავის მემამულეთა დარღვეული ინტერესები კვლავ აღადგინონ. და აი ამ მიზნით ისინი მზათ არიან თვით სამშობლოს დაცვის საქმეშიაც კი მუშათა დემოკრატიას წინააღუდგენ. საქართველოს დამოუკიდებლობა ხომ მათი იდეალი იყო, მაგრამ ამ დამოუკიდებლობის დაცვაში ისინი ამით სწორეთ ხელის შემშლელათ გამოდიან. ვაჭრებს რომ ფული გადაახდევინოთ ქვეყნის დასაცავათ აბა როგორ შეიძლება. მერე იგიც ნაციონალ-დემოკრატების ნებადაურთველათ. ეს თურმე საშინელი ანარქისტობა ყოფილა, ორ მთავრობიანობა და სხვა ასეთი საშინელება, რომელიც თურმე უეჭველათ დაგვღუპავს. მკითხველი ადვილათ მიხვდება, რა მუცლის გვრემა აწუხებთ ამ „საქართველოს" გმირებს. მათ ოღონდ რევოლიუციას გაუტეხონ სახელი და თვით საქართველოს არსებობასაც კი ანაცვალებენ. ასეთია ამ ახლ მოვლენილი სახელმწიფოებრივი პარტიის მთელი ავლა-დიდება. და ესენი ფიქრობენ ამ გზით ჩვენი ქვეყნის საუკეთესოთ აშენებას. საბრალო საქართველო, საბრალო დემოკრატია ამათი შემხედვარე!

ჩვენ რომ ღრმათ არ გვწამდეს ხალხის სიმწიფე, რომელიც მათ ასეთ ლათაიებს ზიზღით უარყოფს, სასოწარკვეთილებას მივეცემოდით. მაგრამ ჩვენ გვწამს ხალხის საღი ინსტიქტი, მისი ალღო, რომლის შემწეობით ის სისწორით ატყობს, ვინ არის მისი მოყვარე, და სად ბუდობს მისი ქალაჩუნა მტერი, ტკბილი სიტყვით რომ ეპარება და ლახვარს კი უმზადებს.

ამიტომ ჩვენ არ გვეშინია ამ იერიშების. თუ გარეშე ტლანქმა ძალამ არ გასრისა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა, ქართველი დემოკრატია ერთხელ კიდევ დაანახვებს ქვეყანას, რომ მას დიდი შემოქმედებითი ნიჭი შესწევს და დაუშრეტელი წყარო აქვს ენერგიის ხალხის ცხოვრების კეთილათ მოსაწყობათ.

დემოკრატიულ რესპუბლიკას მხოლოდ გარეშე ძალა თუ დაგვიმხობს, თორემ შინაური მოწინააღმდეგენი მის ხელის შეხებას ვერც კი შებედავენ.

დემოკრატია სძლევს ანარქისტ-ბალშევიკებსაც და კონსერვატორ-რეაქციონურ ნაციონალისტებსაც, რომ განამტკიცოს სახალხო წყობილება და დემოკრატიული წესები.

## ჩვენი კორესპონდენტების საყურადღებოთ

გაზეთი ემსახურება დღიურ—პირვარამს. ამისთვის საჭიროა ჩვენი დაბა-ქალაქებიდან და სოფლებიდან ცნობები მოსდიოდეს რედაქციას: საზღვარ გარეთის და ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთებსაც საგანგებო კორესპონდენტები ჰყავთ სხვადასხვა ადგილებში. ეს კორესპონდენტები განსაზღვრულ გასამჯელოს იღებენ და მხოლოდ გაზეთის საქმეს ანდომებენ თავისუფალ დროს და ცოდნას.

ჩვენში დიდი მოვალეობა აწევს კორესპონდენტს, რადგან ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ხრულებით არ არის შესწავლილი, ჩვენ არ მოგვეპოება რიგიანი სტატისტიკა, არ ვიცით დანამდვილებით რომელ კუთხეში რა ჯურის ხალხი ცხოვრობს, რა ხელობას მისდევს და სხვ. განსაკუთრებით დღეს არის საჭირო რიგიანი კორესპონდენტები რადგან ჩვენი ქვეყნის ბევრი ადგილი მტრისგან არის აკლებული, ბევრგან ეგრეთ წოდებულ ბალშევიკების მოღვაწეობამ აწეწა ცხოვრება და ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას ჩამოაშორა.

ჩვენ შეძლება არ გვაქვს ჯამაგირიანი თანამშრომლები ვიყოლიოთ და ამიტომ ჩვენი ამხანაგების შეგნებას და საქმის სიყვარულს ვეყრდნობით. ამხანაგებიც არ გვღალატობენ, მაგრამ საუბედუროთ, ყველას სწორეთ არ ესმის თავისი დანიშნულება. ზოგი კორესპონდენტი პირად ანგარიშების გასწორებას უნდება და რედაქცია ხშირათ შეცდომაში შეჰყავს; ზოგი ერთობ დიდ თავმოყვარეობას იჩენს და თუ ერთხელ-ორხელ წერილი არ დაუბეჭდე—გაიბუტება და სულ დაანებებს წერას თავს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ზოგი კორესპონდენტი იმის მაგიერ, რომ მომხდარი ამბავი აღნიშნოს, დაუსრულებელს მსჯელობას იწყებს და რედაქციას დროს აკარგვინებს ასეთ მსჯელობის გასაცნობათ. საერთოდ კორესპონდენტობა დაბალ ხელობათ არის მიჩნეული და ამიტომ ზოგს კიდეც ეთაკილება წერა. ამიტომ ხდება სხვათა შორის, რომ ვინც რიგიანათ იცის ქართული ენა იხ პრინციპიალურ ხასიათის წერილებს გზავნის სოფლიდან; სამაგიეროთ ხშირათ ისეთი კორესპონდენციები მოგვდის, რომ კაცი თავს ვერ გაართმევს: ზის რედაქციის თანამშრომელი, ასწორებს კორესპონდენციას, ამოკლებს, აშალაშინებს და ბოლოს რამდენიმე სტრიქონი რჩება ხელში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კარგათ დაწერილს კორესპონდენციას ხშირათ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია მკითხველისათვის, ვინემ მოწინავე წერილს და კორესპონდენტობა საპატიო და პასუხსაგები საქმეა.

ამიტომ მივმართავთ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს — აღმოგვიჩინონ დახმარება, აირჩიონ მცოდნე პირები და ხელი შეუწყონ მათ კორესპონდენტის მოვალეობის ასრულებაში. კორესპონდენტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საზოგადო მნიშვნელობის ფაქტებს და მოვლენებს და პირად კინკლაობაზე ხელი აიღონ. ტეხნიკურის მხრით კორესპონდენტი უნდა ეცადოს მოკლეთ და გარკვევით აღნიშნოს ესა თუ ის მოვლენა, ასწეროს მიუდგომლათ და მარტივი ენით. მან უნდა მიბაძოს ფოტოგრაფს: ფოტოგრაფმა ხომ უნდა გადაიღოს სურათი ისე, როგორც ის სინამდვილეშია. ასევე უნდა მოიქცეს კორესპონდენტიც. მაშინ მისი შრომა ნაყოფიერი და საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნება.

ჩვენი რედაქცია განმეორებით სთხოვს პროვინციელ ამხანაგებს, ნუ დაიშურებენ შრომას და ენერგიას ამ დიდი საქმისათვის: ხშირ-ხშირათ მოგვაწოდონ კარგი კორესპონდენციები.

## პრესა

„სახალხო საქმე" საქართველოს საზღვრების შესახებ სწერს:

„ყოველს სახელმწიფოს აქვს საზღვრები, რომლებსაც დაცვა უნდა და გამაგრება. დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები გამოცხადებული არა ყოფილა, რადგანაც განსაკუთრებულ პირობებში მოგვიხდა ამ დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაგრამ სულ მოკლე ხანში ჩვენ დაგვჭირდება საზღვრების დაცვა-გამაგრება. ამისთვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა საქართველოს ტერიტორია გაიწმინდოს ისეთი შეიარაღებული ელემენტებისაგან, რომლებიც საქართველოს სუვერენობას არა სცნობენ და საქართველოს მთავრობას არ ემორჩილებიან. ამ მხრით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი როგორც სოხუმის მხრით ისე დარიალის ხეობასა და ტფილისის გუბერნ., განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ტფილისის გუბერნიის შესახებ, რომლის ერთ ნაწილში გრძელდება ადგილობრივ მცხოვრებთა თვითნება მოქმედება. თფილისის გუბ. ეს რაიონი დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს საქართველოს საწინააღმდეგო ელემენტებისაგან და აღდგენილ იქნას მტკიცე საზღვრები, რომლის შიგნითაც შეუზღუდველად უნდა განხორციელდეს და განმტკიცდეს საქართველოს სუვერენიტეტი".

საჭიროა მთავრობამ და ეროვნულმა საბჭომ ყურადღება მიაქციონ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს და დაგვიანებით საქმე კიდევ უფრო არ გაართულონ.

## დეპეშები

**ნატანები.** ჩემო ძმებო, მეომრებო! ოსმალების მოთხოვნას არა აქვს საზღვარი. ბათუმთან იაფად და შემთხვევით გამარჯვებით თავბრუ დასხმულნი ახალგაზრდა საქართველოს ყოვლად მიუღებელ მოთხოვნილებებს უყენებენ. ისინი უკვე ეპოტინებიან ჩვენს არსებობას. ისინი არ ჯერდებიან ბათუმს. მათ აღარ ახსოვთ ჩოლოქი, სადაც მათ გამოფხიზლებულმა ქართველურმა გმირობამ მწარე დამარცხება მოუტანა. თქვენ ყველამ კარგათ იცით, თუ რას მოგვიტანს ოსმალების დამონება: სიმშილს, ჩვენი სახლკარის გადაწვას, ცოლშვილის აწიოკებას. და სისხლითა და ტანჯვით მოპოვებულ თავისუფლების დაკარგვას. ნუ თუ ეხლა, როდესაც ქართველი ერი ფეხზეა დამდგარი, როცა ყველა კუთხე საქართველოსი შეიარაღებულია და მიისწრაფვის სამშობლოს დასაცავათ, რომ მტერს უსიკვდილოთ არ დაუთმოს არც ერთი მტკაველი ჩვენი გმირი წინაპრების სისხლით მორწყული სამშობლო მიწისა, ნუ თუ ეხლა ჩვენ ლაჩრულათ და უსიტყოთ უნდა დავემორჩილოთ ოსმალთა უსაზღვრო მოთხოვნილებებს და ჩვენივე ხელით დავმარხოთ ჩვენი სამშობლო და თავისუფლება. ჩვენ კიდევ მოვაგონებთ თათრებს ძველ დროს, როდესაც ისინი ვერ უძლებდენ ჩვენ გმირობას და უკანვე ბრუნდებოდენ ჩვენი სამშობლოდან. მაშ, მედგრათ! ჩვენი დევიზი უნდა იყოს დღეიდან ან გამარჯვება და დამოუკიდებლობის და თავისუფლების შენარჩუნება, ან და გმირული სიკვდილი. თუ დაგვამარცხეს, სიკვდილი და განადგურება მაინც არ აგვცდება. მაშ, თუ დაგვჭირდა, ვიომოთ გმირულათ.

პოლკოვნიკი ყარალაშვილი. *)

---

**ფოთი.** 3 ივნისის სხდომაზე ფოთის ქალაქის საბჭომ მოისმინა მოხსენება საბჭოს თავმჯდომარის ჩიტაიასი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. ამავე საგანზე წაკითხულ იქნა ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის დეკლარაცია, რის შემდეგ საბჭომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ფოთის ქალაქის საბჭო იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ, მხარს უჭერს რესპუბლიკის მთავრობას და ყოველ ღონეს იხმარს ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკის გასამაგრებლათ და ასაყვავებლათ.

**ფოთი.** 2 ივნისს ფოთში მოეწყო მიტინგი, რომლის მიზანს შეადგენდა საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებით შექმნილ მდგომარეობის გარკვევა. მიტინგი მოწვეულ იყო მ. და ჯ. საბჭოს განკარგულებით. ილაპარაკეს ქალაქის, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და პარ-

---

*) ზავი ოსმალეთსა და საქართველოს შორის ამ ჟამად თუმცა შეკრულია, მაგრამ ამ დეპეშას მაინც ვბეჭდავთ. ჩვენ აუცილებლათ მიგვაჩნია დღევანდელ პირობებში შეიარაღებული ძალის ყოლა, რომელმაც უნდა დაიცვას საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, როგორც გარეშე, ისე შინაურ საფრთხისაგან. რედ.

ტიების წარმომადგენლებმა. მიტინგმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მიტინგი აღიარებს, რომ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება იძულებითი ნაბიჯია ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან გადასარჩენად გადადგმული და ის აუცილებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაანგრია მის საზღვრებში მოქცეულ ეროვნებათა ინტერესების სხვა და სხვაობამ და წინააღმდეგობამ. მიტინგი იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, მხარს უჭერს ნორჩი რესპუბლიკის მთავრობას და იმედს გამოსთქვამს, რომ ქართველი დემოკრატია ჩვეულებრივი სიფხიზლით მოეჰყრობა თავის დაცვას და ყოველს ღონეს იხმარობს მეზობელ ერებთან მეზობლური განწყობილების აღსადგენად.

მიტინგის თავმჯდომარე ლ. კილურაძე.

## მთავრობის ცნობა

3 ივნისს, დილის 4 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ ბათუმში ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას შემდეგ პირობებში: ოზურგეთის მხრით საქართველოსა და ოსმალეთს შორის საზღვარი არის მდ. ჩოლოქი; ახალციხის მაზრიდან საქართველოს რჩება აწყურისა, აბასთუმანისა და ზეკარის რაიონები, დანარჩენი ნაწილი ახალციხის მაზრისა და მთელი ახალქალაქის მაზრა გადადის ოსმალეთის ხელში. საერთო ზავის ჩამოგდებამდე ოსმალეთს ეძლევა უფლება ისარგებლოს ფულის გადახდით სტრატეგიული მიზნით რკინის გზებით ჯარების გადასაყვანათ და სამხედრო იარაღების გადასტანათ; გზების ადმინისტრაცია და მმართველობა ეკუთვნის საქართველოს მთავრობას. ჯარის გადაყვანისა და სამხედრო იარაღების გადატანის შესახებ საკითხებს განიხილავს საგანგებო შერეული კომისია შეთანხმებით. საქართველოს სუვერენიტეტს სცნობს ოსმალეთი, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ არ ჩაერევა საქართველოს სახელმწიფოებრივ საქმეებში.

აცნობებს რა ამას, საქართველოს მთავრობა მოუწოდებს მცხოვრებთ შეხვდენ დამშვიდებით მომხდარ ფაქტს; ოსმალეთის ხელში გადასულ ახალციხის მაზრის ნაწილისა და ახალქალაქის მაზრის ქართველ მცხოვრებთ მთავრობა მოუწოდებს დარჩენ თავის ადგილზე და იყვნენ დარწმუნებული, რომ საქართველო იზრუნებს მათ ბედზე.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

5 ივნისი.

**მოსკოვის რადიოსადგურიდან** რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს იოფფეს შემდეგი ცნობა გადასცეს ბერლინში: ტამერფორსში მყოფი რუსეთის სანიტარული რაზმი დააპატიმრეს გერმანიის მოხერე ჯარებმა. ამ რაზმის ერთი ნაწილი ერთი კვირის ტყვეობის შემდეგ განთავისუფლებულ იქნა, დანარჩენი ნაწილი დღესაც დატყვევებულია, ზით ეპყრობიან დახვრეტით, მაშინ, როცა ეს რაზმი მხოლოდ დაჭრილებს აწვდიდა დახმარებასა და ავადმყოფებს წითელი ჯვარის დროშის ქვეშ. საჭიროა მიღებულ იქნას საჩქარო ზომები შემდეგი პირების განსათავისუფლებლათ: უფროსი ექიმის შტეინგაუზის, უმცროს ექიმების მებაროვისა და გოლიაროვის. ფერშლების კოგანოვის, სოფრონენკოს, სოზიკინის და ვასილიევის. გარეშე საქმეთა კომისარი **ჩიჩერინი.**

**მოსკოვის რადიოსადგურიდან** ბერლინში, რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს იოფფეს. სამხედრო ტყვეების გაცვლელ მთავარ კომისიის მუშაობა შესწყდა საყურადღებო პრინციპიალური ხასიათის უთანხმოების გამო. გერმანელი ტყვეები ატარებენ პრინციპს „ერთი ერთის მაგიერ“. მირბახი დასთანხმდა ინსტრუქციის მიღებას ბერლინიდან. ვინაიდან დიდი განსხვავებაა ჩვენი და გერმანელების სამხედრო ტყვეთა რიცხვში და აგრეთვე ჩვენი და გერმანელების ტრანსპორტების განსხვავების გამო, ჩვენ ვაღიარებთ ამას უსამართლობათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანელების მიერ წამოყენებული პრინციპი ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, რომელიც მოითხოვს სამხედრო ტყვების, რაც შეიძლება, დაჩქარებით სახლში დაბრუნებას. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითეულ მხარემ უნდა დაუთმოს მეორეს იმდენი სამხედრო ტყვე, რამდენის გადაყვანა ამ უკანასკნელის ტრანსპორტს შეუძლია. ჩვენ წინადადებას ვიძლევით შეტანილ იქნას შეთანხმების აქტში მუხლი, რომლის თანახმად ტრანსპორტი საჭებით უნდა იქნას გამოყენებული, მიუხედავად გაცვლილ ტყვეების რაოდენობისა. გერმანელები ამას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ეთანხმებიან. ამ სწორედ ამან გამოიწვია უთანხმოება. ფორმულის განსხვავების ქვეშ ამ შემთხვევაში იმალება სერიოზული პრინციპიალური ხასიათის უთანხმოება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ურთიერთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ნიადაგზე. ეკავშირო დათანხმდება გერმანიის მთავრობა, რომ საჭიროა ეცნოს დაცული ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საჭიროა გარანტია, რომ გერმანიაში მყოფი ტყვები დაბრუნდებიან, რომლენაცაც შესაძლებელია დაბრუნება შინ. ეხლა ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეთანხმება შეუძლებელია სანამ ჩვენ არ მივიღებთ გარანტიას, რომ ტყვეები დაბრუნდებიან შინ, რადგანაც ჩვენი ტყვეები გერმანიაში დიდ საჭიროებას განიცდიან, ჩვენ ვთხოვთ ამ საკითხის მოგვარებას, თუ შესაძლებელია დაჩქარებით მაშინაც კი, როცა გერმანელი ტყვეები სულ გავლენ რუსეთიდან. თუ თქვენ ვერ შესძლებით ამ საქმის მოგვარებას, გთხოვთ საკითხი გადასცეთ პოლიტიკურ კომისიას, რომელიც ახლო მომავალში დაიწყებს სხდომებს. მოგაგონებთ, რომ გერმანიის მთავრობა დასთანხმდა სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ პრინციპიალურ ხასიათის საკითხებს პოლიტიკურ კომისიაში წამოყენებას. გარეშე საქ. კომისარი **ჩიჩერინი.**

**ბერლინი.** 4 ივნისი. გერმანიის ოფიციალური ცნობა. კრონ-პრინც რუპრეხტის ფრონტზე სხვადასხვა ძლიერების საარტილერიო ბრძოლა მთელი დღე გრძელდებოდა. შეტევას ჩვენ ფრონტის სხვადასხვა ნაწილებიდან ვაწარმოებდით. მეერის დასავლეთით მტერი თავის პოზიციებს ამაგრებს.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქრის ფრონტი. ძლიერი ბრძოლის შემდეგ ემმის ჩრდილოეთით მტრის სანგრები ავიღეთ. მოწინააღმდეგემ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია სუასონის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით მდებარე მაღლობებზე, მაგრამ წინააღმდეგობა მედგარი ბრძოლის შემდეგ ვძლიეთ. ფონტენა შაუდონის დასავლეთით მაღლობები იერიშით ავიღეთ პერნანსა და მ-სი-ო-ბუასთან მტერი უკუ ვაქციეთ ლესილიე-დომანეს ხაზამდე. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ბატარეია და რამდენიმე ასი ტყვე, ფრანგების იერიშები მდ. ორკუნთან მათი დამარცხებით გათავდა. ალტურის კოშკის სამხრეთ დასავლეთით ავიღეთ და ბუსურ-შურეშის რკინის გზა, აქ მტრის ყველა კონტრიერიშები მოვიგერიეთ. მდ. მარნაზე, მარნსა და რეიმს შუა მდგომარეობა უცვლელია.

**ვენა.** 4 ივნისი. ავსტრო უნგრეთის ოფიციალური ცნობა. სამხრეთის ფრონტზე ხანგრძლივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

**კონსტანტინეპოლი.** 4 ივნისი. ოსმალეთის ცნობა. პალესტინის ფრონტი. მდ. იორდანის აღმოსავლეთის ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. ამ რაიონში დავიპყრეთ მტრის რაზმების წინ გამოწეული ადგილები და ბრძოლის ხაზი გავასწორეთ. ჩვენმა არტილერიამ აღმოაჩინა მტრის ბატარეა და სროლა აუტეხა მას. მეამბოხეთა ბრბოებს ჰაეროპლანებიდან ყუმბარები დავუშინეთ. სხვა ფრონტებზე ახალი არაფერია.

## ახალი ამბები

**საქართველოს ეროვნული საბჭო.** დღეს პირველ საათზე დანიშნულია საქართველოს ეროვნული საბჭოს კრება. დღის წესრიგში არის მოხსენება საზავო მოლაპარაკების შესახებ.

**საზღვრების გასწორება.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაიგო, რომ ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობები აწარმოებენ მოლაპარაკებას ოსმალეთის მთავრობასთან ამ სახელმწიფოთა შორის საზღვრების დაწესებისა და შესწორების შესახებ. ამის გამო მთავრობამ დაადგინა მიუთითოს ადერბეიჯანისა და სომხეთის ეროვნულ საბჭოებს, რომ საქართველოს, სომხეთისა და ადერბეიჯანს შუა საზღვრების დაწესება და შესწორება შეადგენს ამ სახელმწიფოთა კომპეტენციას და რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია ამ სახელმწიფოებთან აწარმოვოს მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ თფილისში ოსმალეთის ჩაურევლათ. თუ ამ საკითხის შესახებ აღმოჩნდა რაიმე ხელშეკრულება ერთის მხრით ოსმალეთის იმპერიისა და მეორეს მხრით ადერბეიჯანსა და სომხეთის, ან ერთი რომელიმე მათგანის შორის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ასეთ ხელშეკრულობას არას შემთხვევაში ვერ სცნობს თავისთვის მისაღებათ და სავალდებულოთ.

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს** აუარებელი მისასალმებელი დეპეშები მოსდის საქართველოს ყველა კუთხიდან საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადების გამო. დეპეშებში აღნიშნულია, რომ ყველა მხათაა მხარი დაუჭიროს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და გაამტკიცოს კეთილ მეზობლური განწყობილება მეზობელ ერებთან.

**საიდუმლო რაზმი.** რამდენიმე კვირის წინათ თფილისში დაარსდა საიდუმლო მილიციის საგანგებო რაზმი, რომელსაც განსაკუთრებით დაკისრებული აქვს მოპარულ სახაზინო ქონების და მიმალულ იარაღის და სურსათის აღმოჩენა. ხსენებულმა რაზმმა ამ მოკლე ხანში საკმაოდ დიდძალი მოპარული სახაზინო ქონება აღმოაჩინა: სახაზინო ტანისამოსი, თეთრეული, სხვადასხვა სახაზინო ქონება, შაქარი, იარაღი და სხვა.

**ამიერ კავკასიის დეპეშა სააგენტოს** გამგეობამ დაიწყო საჭირო მოლაპარაკება ბერლინში ვოლფის სააგენტოსთან, რათა უკანასკნელმა, რაც შეიძლება ფართოდ მოაწოდოს ინფორმაცია. სააგენტოს გამგე დირექტორს ა. ი. ქალანთაროვს გერმანიის მისიამ სრული დახმარება აღუთქვა ამ საქმეში.

**ბოლო დროს** სხვა და სხვა პირნი კვლავინდებურად განაგრძობენ დიდი ძალი პირველ საჭიროების საგნების და სურსათის მალულად გაზიდვას საქართველოს სამხედრო გზით. პირველ საჭიროების საგნები და სურსათი გააქვთ ღამით ურმებით, ფურგონებით და საზიდავ ავტომობილებით. საიდუმლო მილიციის საგანგებო რაზმმა უკვე მიაქცია ამას ყურადღება და მიიღო ზომები. საბურთალოზე ამ ჟამად გამართულია კარანტინი და უკვე დაიჭირეს დიდძალი საქონელი.

**თფილისის მაზრის კომისარმა** გუბერნიის კომისარს შეატყობინა, რომ მაზრაში ბევრ ალაგას წითელ გვარდიელები იარაღს ჰყრიან და ცხენებს ართმევენ მილიციონერებს და გუბერნიის კომისარის მიერ მიცემულ ნებართვას და მოწმობას იარაღის სატარებლად. ამის გამო გუბერნიის კომისარმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნოს გამოარკვიოს და ზომები მიიღოს მომავალში მის თავიდან ასაცილებლათ.

**შრომის მინისტრის** კანონ-პროექტი შტატს გარეშე დარჩენილ და დათხოვნილ მოსამსახურეთა დაჯილდოვების შესახებ საქართველოს ეროვნულ საბჭოს გადაეცა.

**სწრაფი მატარებლით** გუშინ ბათუმს გაემგზავრა საზავო დელეგაციის წევრი გ. ს. რცხილაძე.

**მთავრობამ** ეროვნულ საბჭოში კანონ-პროექტი შეიტანა საადგილ-მამულო ბანკებში წარმომადგენლების დანიშვის შესახებ არა თავად აზნაურობის, არამედ ეროვნულ საბჭოს მხრით.

**თფილისის დამცველმა** შტაბმა დააპატიმრა ქართ. სამარტირო არტილერ. დივიზიის მე-2 ბატარეის ჯარისკაცები შიო აკოფაშვილი და ვასო ჩ ხლაძე მორიგების დროს ეე ხჰაუზის სახაზინო ქონების მოპარვისთვის, სომხურ სათადარიგო ბატალიონის ჯარისკაცი გიორგი გრიგორიანცი ვინტ. გაყიდვისთვის, ქართ. სამორტ. საარტ. დივიზ. მე-2 ბატარეის ჯარისკაცი ჯარ. დურგლიშვილი ფრონტიდან გამოქცევისთვის.

**სატრავმატოლოგო ინსტიტუტი** შეეკითხა მთავრობას მიეცემა თუ არა მას 5000 მან. საპროტეზო სახელოსნოსთვის, რომელიც მარტის 15 ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გადასცა. მთავრობამ ეს შეკითხვა სალიკვიდაციო კომისიას გადასცა.

**თფილისში ჩამოვიდა** 5 ივნისს ოსმალეთის რკინის გზის კომისია საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებზე ოსმალთა ჯარების გადაყვანასთან დაკავშირებული საკითხების გამოსარკვევად.

**ფოთიდან** სომხურ გაზეთ „მშაკს“ შემდეგი დეპეშა მოუვიდა: ჩვენ, ბათუმელი 300 გადმოხვეწილი უმწეო მდგომარეობაში ვიმყოფებით მატერიალურად. გთხოვთ გამოგვიყვანოთ გაჭირვებულ მდგომარეობიდან. ადგილობრივი კომიტეტი შეძლების დაგვარათ ეხმარება გადმოხვეწილებს, მაგრამ ეს ვერა გვშველის.

**ყოფილ ხეიმის** კანცელარიის იმ მოსამსახურეებს, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებებში შევიდნენ, მთავრობამ დაადგინა წინადადება მისცეს მეტად მიღებული სალიკვიდაციო ჯილდო დააბრუნონ.

**ქუთაისის სადგურის** კომენდანტი შტ.-კაპ. პაპავა გზათა მიმოსვლის მინისტრს ატყობინებს: „არა ერთხელ გამოგიგზავნეთ დეპეშა ქუთაისის რკინის გზის მილიციის მოქმედების შესახებ; ბოლოს გატყობინებთ, რომ 30 მაისს ჩემთან მოვიდნენ რაჭის რამდენიმე მცხოვრები, რომლებმაც განმიცხადეს, რომ იქაურმა მილიციონერებმა მათგან 200 მანეთი აიღეს ქრთამად რამდენიმე ფუთი შაქრის გაზიდვისთვის. შაქარი თფილისში მიჰქონდათ. აქამდე ვერავის ვატყობინებდი ფაქტების უქონლობის გამო, ეხლა ასეთი ფაქტები მაქვს და გთხოვთ მიიღოთ შესაფერი ზომები“.

**დაიკარგა ბავშვი.** პარასკევს 1 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე შინიდან გამოსული 10 წლის თვალ-ჭრელი, მოკლე, შავი თმიანი ქალი, თეთრი პიკის ქუდით და თეთრიანი ბამბაზიის კაბით უკან აღარ დაბრუნებულა. სთხოვენ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის ამ ბავშვის შესახებ აცნობოს შემდეგი მისამართით: ნაძალადევი—ყუბანის ქუჩა, სახლი კურტიშვილისა, ბინა შაქრო პავლიაშვილისა.

**გაზეთების დაგვიანება.** ტეხნიკური მიზეზების გამო ეს ორი დღეა პროვინციაში გაზეთები თავის დროზე არ გაგზავნილა.

**გადმოხვეწილი გურულების სახარგებლოთ** ახმეტის ს.-დ. ორგანიზაციიდან კომიტეტმა მიიღო 100 მან.

**გზათა მინისტრს** მიეცა წინადადება შეადგინოს კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ახალ-სენაკიდან ონჭამირემდე რკინის გზის გასაყვანათ საჭირო ხარჯები.

**ლტოლვილები.** გერმანელთა ეროვნული საბჭო ატყობინებს სომეხთა ეროვნულ საბჭოს, რომ იმ ლტოლვილთაგან, რომლებსაც თავს დაესხნენ ეკატერინენფელდის ახლოს, გადაარჩინეს 152 კაცი, მათ შორის 100 ჯანსაღია და 52 დაჭრილი, მეორე დღეს გაიქცა 36 კაცი, დანარჩენი 64 კაცი წაიყვანეს თათრებმა ჯალალ-ოღლში, როგორც სამხედრო ტყვეები. დაჭრილ სომხებს დახმარება გაუწიეს გერმანელებმა. მათ დაურიგეს ტანისამოსი. დახოცილები დაასაფლავეს.

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ** დაადგინა მიიღოს შავი ზღვის რკინის გზა ახალ-სენაკიდან ერანდემდე, სიგრძით 150 ვერსი.

**პროფესიონალურ კავშირთა საბჭო** სთხოვს ამხანაგებს დააბრუნონ მუშათა კლუბის წევრათ ჩასაწერი წიგნაკები, რომლებიც წაღებული ჰქონდათ.

**მუშათა კლუბში.** დღეს საზაფხულო საღამო, სინემატოგრაფი, მუსიკა. კლუბში წევრათ ჩაწერა შეიძლება კავშირებში და კლუბში სალ. 6—8 საათამდე. წევრობა შეუძლია პროფესიონალურ კავშირთა წევრებს. კლუბის კომისიის რეკომენდაციით შეიძლება პროფ. კავშირის არა წევრთ მუშის ან სოციალისტური პარტიის წევრთა მიღება. კლუბი იწვევს სიმებიან ორკესტრს 22 კაცისაგან შემდგარს.

**წარმოდგენა.** დღეს, 6 ივნისს არტისტიულ თეატრში ქართულად წარმოდგენილი იქნება ი. რევაზიშვილის საბენეფისოთ აზიური ოპერეტა გაჯიბეგო ისა „მაშტი იბადი“.

**სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება „ნამუსისათვის“. ადგილების ფასი სახალხოა.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 7 საათზე მოხდება ქალაქის საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა. ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 5 საათზე მოხდება მეორე რაიონულ კოლექტივის სხდომა.

## მოვალეობის მსხვერპლნი

**კაპიტანი ალექსი მელუა.**

მტერთან მამაცურათ ბრძოლაში ახალციხის ფრონტზე სიცოცხლეს გამოესალმა ამხანაგი ალექსი. ბუნებისაგან ნიჭით დაჯილდოვებულს სამხედრო მომზადებაც კარგი ჰქონდა. მას არ დასცალდა სამშობლოს სამსახური.

ამხანაგი ალექსი, 29 წლის ახალგაზდა უკვე საფლავს მიებარა და თან წაიღო უზომო სიყვარული მუშათა კლასის ადმი, ის სიყვარული, რომელიც მას გურიაში ბავშვობისას დაებადა და მასთან ერთად იზრდებოდა, და რომელსაც ატარებდა მაშინაც კი, როდესაც თავისუფლებაზე ლაპარაკი იქ, სადაც ის იძულებით მოხვდა (სამხედრო სასწავლებელი) სრულებით შეუძლებელი და მოუხერხებელი იყო.

დღეს ის უდროოთ დაეცა მსხვერპლათ გარეშე მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მისი ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩვენს შორის.

ლ. უგლავა.

**თევდორე დავითის-ძე სოხაძის ხსოვნას.**

საქართველოს განაპირა კუთხიდან —რაჭიდან იყავი შენ დაუვიწყარო ძმაო თევდორე მოსული, რომ დაგეცვა ბრწყინვალე თავისუფლება და ძვირფასი სამშობლოს ინტერესები.

შენ გმირულად შესწირე შენი სიცოცხლე მოზღვავებულ მტერს ყაზბეგში, რომელსაც სურდა ჩვენი თავისუფლება ფეხქვეშ გაეთელა და ჩვენს კუთხეში შემოეტანათ ანარქია.

შენ უბრალო გლეხის შვილმა, კარგად იცოდი, თუ რა საფრთხეს უქადდა ჩვენ თავისუფლებას ანარქისტ ბოლშევიკების სახით ვიგინდარების შემოსევა და ამიტომ თავი გმირულად შესწირე. თფილისის განსაკუთრებული რაზმი, რომელიც იმყოფება გუბერნიის კომისარიატთან, გულდაწყვეტილნი შენი უდროვოთ სიკვდილით ფიცსა ვდებთ შენს წინაშე, რომ ჩვენც შენსავით შევსწირავთ თავს თავისუფლებას და ჩვენს სამშობლო საქართველოს.

იძინე ტკბილად დაუვიწყარო ძმაო თევდორე!..

თფილისის განსაკუთრებული რაზმის მონდობილობით მე-2 ასეულის უფროსი შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე ვასილის ძე გორგაძე.

## ქუთაისის ამბები

საგუბერნიო შრომის კომისარმა შემდეგი დადგენილება გამოსცა:

1. ომში გაწვეულ მუშას, რომელსაც უმსახურნია „ხაზენთან“ ერთი თვიდან ორ წლამდე, უნდა მიეცეს ერთდროულ დახმარებათ სამი თვის ჯამაგირი, ვისაც მეტი უმსახურნია, უნდა მიეცეს ყოველ წელზე თითო თვის ჯამაგირი მხოლოდ არა უმეტეს ექვსი თვისა.

შენიშვნა 1: ამ ფულს იღებს ცენტრალური პროფესიონალური საბჭო, ან და პროფესიონალური კავშირი (იქ, სადაც ის არსებობს) და თვიურათ აძლევს ომში წასულის ოჯახს.

შენიშვნა 2: თუ ომში გაწვეული დაბრუნდა იმაზე ადრე, რამდენი თვისაც ფული აქვს გადაცემული კავშირს, მაშინ ფულის ზედმეტი ნაწილი უბრუნდება „ხაზეინს“.

შენიშვნა 3: თუ ომში წასული მოკლულ იქნა, ყველა ფული უნდა გადაეცეს მოკლულის ოჯახს.

2. ხაზეინი ვალდებულია შეუნახოს მუშას ადგილი ომიდან დაბრუნებამდე.

— ქუთაისის მეფუნთხოობის კომიტეტმა შეიძინა შაბიამნის და გოგირდის ახალი პარტია, რომელიც დანაწილდა რაიონებს შორის შემდეგ ფასებში: კოოპერატივებს შაბიამანი ფუთი 100 მან. და გოგირდი საუკეთესო ხარისხისა ფუთი 75 მან.

— გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა ერობის შემოღების საქმის ინსტრუქტორის მარგველაშვილისაგან დეპეშა მიიღო, რომ დაუყოვნებლივ შეუდგენ საერობო არჩევნებს. ამის გამო საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა ყველა მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს შემდეგი შინაარსის დეპეშა დაუგზავნა: „სასწრაფოთ გვაცნობეთ დეპეშით ყველაფერი მზათ არის თუ არა არჩევნებისათვის თუ არა. არჩეულია თუ არა ინსტრუქტორები და რომელი დღისთვის არის არჩევნები დანიშნული და რამდენი ფულია საჭირო“.

— 31 მაისს ღამით ბაზრის ქუჩაზე ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ნ. ნიჟნიაძის ფეხსაცმლების სახელოსნო, საიდანაც წაიღეს 20 წყვილი წუღა, 500 მ. ფულათ და 34 მან. ვერცხლის ფული. მილიციამ დააპატიმრა სერაფიონ მეთონიძე და პლატონ ჰოხონელიძე, რომელთაც მოპარული ნივთები აღმოაჩნდათ.

## პროვინციის ქრონიკა

**ქ. სამტრედია.** სამხედრო—რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა 31 მაისს სიკვდილით დასაჯა მიუსაჯა წითელ-გვარდიელს ილარიონ ვერულეიშვილს სამეგრელოში ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედების დროს სოფლის დედაკაცის გაძარცვისათვის. ვერულეიშვილის გასამართლებაში მონაწილეობა მიიღეს თვით წითელ გვარდიელებმა. განაჩენის სისრულეში მოსაყვანათ ვერულეიშვილი იმ დღესვე გაიგზავნა ქუთაისში.

**სოფ. ბუილეთი** (გურია). 27 მაისს შუადღის 1 საათზე უცნობმა პირებმა ვინტოვკის ტყვიით მოჰკლეს გზაზე მიმავალი ალექსანდრე კ. თოდრია, როგორც ამბობენ, ხსენებული თოდრია დახელოვნებული ყოფილა, როგორც ქურდობაში, მასთან პოლიტიკურათაც არა საიმედო პიროვნება ყოფილა.

**სამეგრელო.** ბევრ რაიონებში მობილიზაციას თანაგრძნობით შეხვდა ხალხი. ახალ-სენაკში და აბაშაში გამოცხადდენ ყველა ძველი ჯარისკაცები, რომლებიც პირველი მობილიზაციის გამოცხადების დღიდანვე იმალებოდენ. ყველა გამოცხადდა 19—35 წლამდე.

თფილისიდან ე. გეგეჭკორის, გ. ანჯაფარიძის, ი. სალაყაიას და გ. ჩოჩიას ჩამოსვლამ დიდი სარგებლობა მოუტანა. ეგ. გეგეჭკორის მოწოდებას, რომ შეექმნათ მეგრელთა რაზმი სიხარულით შეხვდენ. 4 ივნისს მიღებული იქნა ნ. რამიშვილის დეპეშა ზავის შეკვრის შესახებ. თუმცა მობილიზაციის შესახებ მუშაობა არ შეწყვეტილა. ამხ. სალაყაია და გ. ანჯაფარიძე რამდენიმე ხანს დარჩებიან სამეგრელოში, ეგ. გეგეჭკორი გუშინ გაემგზავრა ქუთაისს. ხალხს ყველგან გამოფხიზლება ეტყობა.

**ქ. ლანჩხუთი** 21 მაისს შესდგა შეერთებული სხდომა ოზურგეთის სამაზრო მუშათა პროფ. კავშირის და ლანჩხუთის რაიონის—გამგეობათა. დღიურ წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები:

1) ჩვენი მომავალი მოქმედების შესახებ. 2) ლტოლვილ ამხანაგების დახმარება, 3) სამუშაოზე კანდიდატების დასახელება, 4) რაიონულ ცენტრში ამხანაგების დამატება, 5) საავათმყოფო კასების შესახებ მოხსენება და სხვა მიმდინარე კითხვები. პირველ კითხვის შესახებ თავმჯდომარე აცნობებს, რომ საერთო ორგანიზაციული მუშაობა შეჩერდა დღევანდელი კრიტიკულ მდგომარეობის გამო, ყველანი გაფანტენ, ბევრი ამხანაგები ფრონტზე გაიწვიეს, ბევრმა ისედაც გული აიცრუა სამუშავარზე და საერთოთ შეწყდა მოქმედებაო. ამხანაგებმა გამოსთქვეს სურვილი მომავალი მუშაობის შესახებ და გამომუშავებულ იქნა შესაფერი სამუშაო გეგმა. გადაწყდა მიმართონ ყველა რაიონში მყოფ ამხანაგებს, რომ შემოიტანონ ხვედრი ფულები, იქონიონ მჭიდრო კავშირი ცენტრთან და სხვა. მეორე კითხვის შესახებ მიენდო პრეზიდიუმს, რომ ყოველივე ღონე იხმაროს და დაეხმაროს კავშირის გადმოხვეწილ წევრთ შეძლების დაგვარათ. შეადგინოს სია გადმოხვეწილთა და აგრეთვე ამ მიზნის და კასის გასაძლიერებლად, შრომის კომისარის (გუბერნიის) საშუალებით აძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს თანხის შესაძენათ. გადაწყდა ეცნობოს ყველა დაწესებულებებს, რომ კავშირის დაუკითხავათ არ მიიღონ არც ერთი მოსამსახურე, მიმართონ შრომის ბიუროს, სადაც იწერება მუშა ხელი. დამხმარე კომიტეტში (გურია) მოსამსახურეთ წარადგინა სხდომამ ყარამან იმედაშვილი. რაიონულ ცენტრში დამატებულ იქნა ორი ამხანაგი: ვარლამ კალანდარიშვილი და ნოე ბოლდავაძე. საავათმყოფო კასების შესახებ მოხსენება გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

**ს. დიდი-ჯიხაიში.** 29 მაისს ოსმალეთის ულტიმატუმის გამო აქ მოხდა საზოგადო მიტინგი. დაესწრო სამტრედიის ორგანიზაციის წარმომადგენელი. მოხსენება გააკეთა ჯარისკაცმა კ. კვერნაძემ და ამხ. ი. კოპალეიშვილმა. მომხსენებელმა გარკვევით აუხსნა დამსწრეთ საქართველოს გამოყოფის მიზეზები და ოსმალეთის ულტიმატუმის შინაარსი. დეკრეტის თანახმად 24 საათის განმავლობაში ჯარისკაცები უნდა გამოცხადდენ თავის ადგილზე და მთავრობის ყველა დადგენილებები უნდა იქნას სისრულეში მოყვანილი. მიტინგმა ერთხმად დაადასტურა ეს წინადადება.

— 27 მაისს მოხდა აღმასრულებელ კომიტეტის, სასურსათო კომიტეტის და გლეხთა საბჭოს სხდომა. ჩამორთმეულ სიმინდის გასანაწილებლათ მცხოვრებნი დაყვეს ოთხ კატეგორიათ. უკიდურეს გაჭირვებულებს სიმინდი დაეთმობა უფასოთ, მეორე კატეგორიის მცხოვრებთ—8 მ. ფუთი; მე-3—10 მან., მე-4—15 მ. მე-5—6 25—30 მან. აქ მუშაობს შრომის ბირჟის კომისია, ხინა-თეცია

ეროვნული ბიბლიოთეკა